

ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური
და პოლიტიკური ცხოვრება
(აგათია სქოლასტიკოსის ისტორიული თხზულების მიხედვით)

რეზიუმე

V-VI სს. აღმოსავლეთ რომის იმპერია ეთნიკური თვალსაზრისით მრავალფეროვანი იყო. ეთნიკური უმცირესობების საკმაოდ გრძელი სია არსებობს, რომელთაც ზოგჯერ ვრცლად, ზოგჯერ კი მოკლედ ახასიათებს აგათია სქოლასტიკოსი. ეთნიკური უმცირესობების აღწერისას ის შემდეგ მახასიათებლებს გამოყოფს: 1. საერთო საცხოვრისი, სამშობლო ან მითი თავისი მამულის შესახებ; საკუთარ თავს მოიაზრებენ გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ზოგჯერ ხაზგასმულია, რომ აქვთ მდიდარი ბუნებრივი გარემო და ნაყოფიერი მიწა-წყალი; საცხოვრისის აღწერისას ორიენტაციისათვის აღებულია ზღვა, მდინარე ან დიდ ქალაქთან მდებარეობა; 2. საერთო წარმომავლობა, ეთნოსს აქვს მეხსიერება, რწმენა საერთო ისტორიაზე; უმეტესად ინტუიციურად გაცნობიერებული აქვთ საერთო წარსულის ერთიანობა. ამის გამო აქვთ სიამაყე, ზოგჯერ ქედმაღლობაც და ღირსების გრძნობაც; 3. საერთო რელიგია და კულტურა, ადათ-ჩვეულებები და ტრადიციები, რომელთაც უმეტესად კანონის ძალა აქვთ მიღებული; 4. ჰყავთ მეფე, თავისი ქვეყნის მმართველი, ავლენენ კოლექტიური სოლიდარობის გრძნობას; აღიარებენ და იცავენ სხვადასხვა სოციალურ ფენათა შორის წონასწორობას. თუმცა ეს წონასწორობა ზოგჯერ შეიძლება დაირღვეს კიდევ. 5. აქვთ საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული ენა.

საკვანძო სიტყვები: *აგათია სქოლასტიკოსი, „ისტორიანი“, იუსტინიანე I, ბიზანტია, ეთნიკური უმცირესობები*

VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის აგათია მირინელის ხელობა - „რომის კანონები და სასამართლოს საქმეები“ (რის გამოც მას სქოლასტიკოსს უწოდებენ), ხოლო გატაცება - „პოეზიის ნაზ ხვეულთა სიტკბოება“ იყო, იგი ცნობილია „ანთოლოგია პალატინაში“ შემონახული ეპიგრამებითა და ისტორიული თხზულებით „ისტორიანი“ ან „იუსტინიანე I-ის მეფობის შესახებ“, რომელიც ავტორს, სავარაუდოდ, მისი გარდაცვალების გამო დაუსრულებელი დარჩა¹. „ისტორიანი“ იწყება 565 წელს იუსტინე მეორის ტახტზე ასვლით და მოიცავს შვიდწლიან პერიოდს (552-559 წწ.), როდესაც ბიზანტიის იმპერიის ტახტს იმპერატორი იუსტინიანე დიდი

¹ აგათიას ისტორიული თხზულებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, როდესაც გამოქვეყნდა მისი „ისტორიანის“ ბერძნული ტექსტის ახალი გამოცემა, „ისტორიანის“ ინგლისური თარგმანი, ავ. ქემერონის სამეცნიერო ნაშრომები, აგრეთვე სამეცნიერო ნაშრომები ან. კელდელისისა, 1999 წელს განმეორებით გამოქვეყნდა მ. ლევჩენკოს რუსული თარგმანი (ამ ნაშრომთა ნუსხა იხ. გამოყენებულ ლიტერატურაში). კოლხეთის ისტორიის, VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის პოლიტიკური ურთიერთობების, შავი ზღვის რეგიონის ეთნონიმებისა და ტოპონიმების შესახებ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია მრავალი მეცნიერის გამოკვლევა, რომელთა ძირითად წყაროს აგათია მირინელის ისტორიული თხზულება წარმოადგენს. ამ საკითხებზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომთა ნუსხა ამომწურავად არის გათვალისწინებული ე. ჟორდანიას შესანიშნავ წიგნში - ბიზანტიური პონტოსი და საქართველო (Э. Г. Жордания, Византийский Понт и Грузия. Вопросы исторической географии и этнотопонимики юго-восточного Причерноморья в XIII-XV веках. Санкт-Петербург. 2019, 24, 94, 170, 224-249).

მართავდა. „ისტორიანი“ ხუთი წიგნისაგან შედგება² და მოგვითხრობს იმ ბრძოლების შესახებ, რომელსაც იმპერატორი იუსტინიანე დიდი აწარმოებდა იმპერიის საზღვრების გაფართოებისა და გამაგრებისათვის. ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთი რომის იმპერია დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმული, დაპყრობითი ომებით ხელოვნურად შეკავშირებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია. პოლიეთნიკური შემადგენლობის ბიზანტიური ჯარი იბრძვის ლაზეთში იმპერატორის ძალაუფლების გავრცელებისათვის სპარსელების, იტალიაში - გოთების, ფრანკების, კონსტანტინოპოლის მისადგომებთან - ჰუნების წინააღმდეგ. ამ ბრძოლების შესახებ გვიყვება აგათია მირინელი, როდესაც აღწერს ომში ჩაბმულ ტომთა და ხალხთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, როგორც რომაელთა და მათი მოკავშირეების, ისე მათთან დაპირისპირებული, მათ წინააღმდეგ მებრძოლი სპარსელების, ჰუნების, გოთებისა და სხვა ტომების შესახებ. ჯარს ხელმძღვანელობენ სხვადასხვა წარმოშობის: არმენიელი, ლაზი, ჭანი, ჰუნი, გოთი ბიზანტიელი სარდლები. დიდია სია იმ ეროვნული უმცირესობებისა, რომელთა შესახებაც აგათია სქოლასტიკოსი გვიყვება ზოგჯერ ვრცლად, ზოგჯერ მოზომილად, რამდენიმე შტრიხით ისტორიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვის დროს. ამ ტომებს, ეთნიკურ უმცირესობებს აგათია მოიხსენიებს ტერმინებით γένος და ἔθνος. „ისტორიანში“ მყარი განსხვავება ამ ტერმინებს შორის არ არის. შეიძლება იხმაროს, აგრეთვე, ὁμόφυλον - თანამემამულე. დაახლოებით 50-ჯერ გვხვდება ტერმინი γένος აგათიასთან, მნიშვნელობით: წარმოშობა, ტომი, გვარი, ჯიში. ἔθνος-ი γένος-ზე გაცილებით ხშირად გვხვდება და აღნიშნავს ტომს (ეთნოსს) და ხალხს. ამ ტერმინებით ასახელებს და ახასიათებს აგათია ალემანებს (I 4, 6, 7, 11, 14; II 1,4, 8, 9), აფსილებს (III 15; IV 13 15, 19), ბურგუნდებს (I 3, 5, 11)), გერმანებს (I 2, 5; II 9), გოთებს (I 1, 3-10, 15, 16, 20; II 2,9, 13-15), ჰუნებს (I 22; 17, 18, 21; IV 13, 27; V 11, 27, 20-25) და სხვ.

რა მახასიათებლებით გამოყოფს აგათია ეთნოსს, რას ესმება ხაზი ეთნიკური უმცირესობების აღწერისას? იკვეთება ასეთი ზოგადი სურათი: 1. საერთო საცხოვრისი, სამშობლო ან მითი თავისი მამულის შესახებ; საკუთარ თავს მოიაზრებენ გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ზოგჯერ ხაზგასმულია, რომ აქვთ მდიდარი ბუნებრივი გარემო და ნაყოფიერი მიწა-წყალი; საცხოვრისის აღწერისას ორიენტაციისათვის აღებულია ზღვა, მდინარე ან დიდ ქალაქთან მდებარეობა; 2. საერთო წარმომავლობა, ეთნოსს აქვს მეხსიერება, რწმენა საერთო ისტორიაზე; უმეტესად ინტუიციურად გაცნობიერებული აქვთ საერთო წარსულის ერთიანობა. ამის გამო აქვთ სიამაყე, ზოგჯერ ქედმაღლობაც და ღირსების გრძნობა; 3. საერთო რელიგია და კულტურა, ადათ-ჩვეულებები და ტრადიციები, რომელთაც უმეტესად კანონის ძალა აქვთ მიღებული; 4. ჰყავთ მეფე, თავისი ქვეყნის მმართველი, ავლენენ კოლექტიური სოლიდარობის გრძნობას; აღიარებენ და იცავენ სხვადასხვა სოციალურ ფენათა შორის წონასწორობას. თუმცა ეს წონასწორობა ზოგჯერ შეიძლება დაირღვეს კიდეც. 5. აქვთ საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული ენა. ეთნოსისთვის დამახასიათებელ ამ განმასხვავებელ ნიშნებს ყოველთვის არ ჩამოთვლის აგათია. ზოგჯერ მხოლოდ ერთი ან ორი ნიშნის ხაზგასმით შეიძლება აღწეროს ტომი ან ხალხი, მაგალითად, „ანგილასს ახლდა ფარებითა და მუბებით შეიარაღებული მავრუსიოსები, თეოდოროსს, მიმედ შეიარაღებული ჭანები, და ფილომათიოსს ხელშუბიანი და შურდულეებიანი ისავრიელები (Agath. III 20,9; IV 16, 2); თხრობის სხვა მონაკვეთშიც იმეორებს,

² აგათია მირინელის ნაშრომში, გარდა სხვა ფასეულობებისა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 1. მეოთხე წიგნი მოიცავს ექსკურსს სასანიელთა დინასტიის ქრონოლოგიის შესახებ. ამისათვის აგათია იყენებს სპარსული სამეფო ანალებიდან თარჯიმან სერგიოსის მიერ გადმოწერილ და თარგმნილ მასალებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან სამეფო ანალები საფუძველი იყო ფალაური „ხვატაინამაკის“ (ქრონიკების წიგნი) დაკარგული წიგნისა, რომელიც თავის მხრივ შაჰნამეს (სამეფო წიგნის) ბაზისი იყო. „ხვატაინამაკის“ არაბული და სპარსული ყველაზე უფრო ადრინდელი წყაროების დათარიღება შესაძლებელია მხოლოდ მეცხრე საუკუნიდან, აგათია მირინელის მეექვსე საუკუნის ისტორიას კი მივყავართ მასალის უფრო ადრინდელ ორიგინალურ წყაროსთან; 2. აგათიას „ისტორიანი“ შეუცვლელი და ერთადერთი მნიშვნელოვანი წყარო არის იტალიაში, ლაზიკასა და ბიზანტიაში 552-558 წლებში მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად.

რომ ისავრიელები არიან მჩატედ და მსუბუქად შეიარაღებულნი და კიდევ დამატებით ინფორმაციასაც გვაწვდის. „ზენონ ისავრიელმა კი, როდესაც კვლავ დაიბრუნა ძალაუფლება, მგონია, პირველმა ჩარიცხა თავის რიგებში ბევრი თანამემამულე (tw'n oJmovfulwn), რომელთაც სიმამაცე ბრძოლებში ან სხვა რაიმე გზით სრულებითაც არ გამოუმჟღავნებიათ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნაცნობები იყვნენ და ერთგულნი“ (Agath. V 15, 4).

ბრძოლის დროს განაწყენებული ეთნოსის წარმომადგენლები შეიძლება არც შეუერთდნენ და არც მიიღონ მონაწილეობა ბრძოლაში, მაგ., საბირები. „სპარსელებს შველოდნენ ჰუნი საბირები, რომლებიც მათ დაქირავებული ჰყავდათ. ამ ტომს, მრავალრიცხოვანსაც და დიდებულსაც, დახარბებულს ომზეც და ძარცვაზეც, მშობლიური ადგილებიდან შორს უცხო მიწა-წყალზე ცხოვრება უყვარს, ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ გამორჩენისა და ნადავლის მოპოვების მიზნით ჩაებმებოდნენ ხოლმე მონაწილეებად ომებსა და შეტაკებებში ხან ერთ, ხან მეორე მხარეს და ამგვარად მოკავშირეებიდან მტრებად გადაიქცეოდნენ“... როდესაც „ერთმანეთს ეომებიან და მიეყიდებიან ხოლმე დაქირავებულ სამხედრო ძალად“ (Agath., III 17, 18; IV 13, 14).

ასევე განაწყენდნენ და არ იღებენ ბრძოლაში მონაწილეობას ჰერულები. მოხდა ისე, რომ ნარზესმა ბრძოლის დაწყების წინ ყველას თვალწინ მოკლა ერთი წარჩინებული კაცი, რომელმაც თავადაც მცირე შეცდომის გამო უსამართლოდ სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მსახური. ნარზესთან საუბრისას კი უკმეხი და ქედმაღალი იყო. საკუთარ შეცდომას არ აღიარებდა და ამბობდა, რომ საკუთრებას ისე მოექცეოდა, როგორც მოისურვებდა, რომ აქვს უფლება და საკუთარ მონას, თუ საჭიროა, კვლავაც მოკლავს, რომ სხვებს შიში ჰქონდეთ. ასე ვითარებაში მოაკვლევინა ნარზესმა წარჩინებული ჰერულთა ტომიდან, რის გამოც აღშფოთებული ჰერულები არ აპირებენ ბრძოლის ველზე გასვლას. მაგრამ ტომის მეთაური თვლის, რომ ეს განდგომა ჩაითვლება სილაჩრედ და არა განაწყენებად და ახერხებს და დაიყოლიებს სხვებსაც, რომ შეუერთდნენ ჯარს, დაიკავონ მათი ადგილი მწყობრში და ჩაებნენ ბრძოლაში (Agath., II, 7-9). აგათია არ ამჟღავნებს თანაგრძნობას ამ სოციალური ყოფის ამსახველ მოვლენაზე. ის საკუთარი პოზიციის გამოხატვის გარეშე გვიყვება, როგორ მოკლა დიდგვაროვანმა საკუთარი მსახური მოვალეობის არშესრულების გამო, შემდეგ კი სოციალურად მასზე მაღლა მდგომმა მხედართმთავარმა ამ საქციელისთვის, უფრო კი უკმეხობისა და ჩადენილის გამო არ მონანიებისათვის სიკვდილით დასაჯა თავისი ქვეშევრდომი. აგათია ამ სცენას მშვიდად აღწერს და აინტერესებს იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია იმოქმედოს ბრძოლის შედეგზე, რაკი წარჩინებული პირის სიკვდილის გამო ჰერულებმა უარი თქვეს ბრძოლაში მონაწილეობაზე, რის გამოც საომარ მწყობრში მათი ადგილი ცარიელი რჩებოდა. კიდევ ერთ საინტერესო დეტალს, საინტერესოს იმით, რომ ჩანს რომაელთა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ერთგვარი დაპირისპირება, მოგვითხრობს აგათია პირველ წიგნში ჰერულების შესახებ: რადგან ბრძოლამდე რამდენიმე ხნით ადრე გარდაიცვალა მათი სტრატეგოსი ფილიმუთი, გადაწყდა, რომ ისინი დაექვემდებარებიან მხოლოდ თავისი ტომიდან არჩეულ ბელადს, თვისტომს და მხედართმთავარი ნარზესი იძულებულია დაემორჩილოს მათ სურვილს (Agath., I, 11, 3).

სპარსელთა მრავალრიცხოვან ჯარში აგათია გამოყოფს ცალკეულ ტომებს, რომლებიც თითქმის როგორც დამოუკიდებლები ისე იბრძვიან, მაგ., მეომარი ეთნოსის დილიმნიტელების აღწერისას აგათია ხაზს უსვამს მათ საცხოვრისს, მიდიელთაგან განსხვავებულ საომარ აღჭურვილობას: მათ შეუძლიათ იხმარონ შუბები და საჭიროების შემთხვევაში ჩაებნენ ხელჩართულ ბრძოლებში. ისინი მარჯვენი არიან მოწინააღმდეგის ფრთებთან შეტაკებისას და შეუძლიათ ძლიერი მიწოლით გაარღვიონ მტრის მჭიდრო რიგები, გამოცდილნი არიან საომარი მწყობრის გადაჯგუფებაში და ნებისმიერ მოულოდნელობას უმკლავდებიან. ადვილად აცვივდებიან ხოლმე მაღალ გორაკებზე, იკავებენ მაღლობებს და უსწრაფესად, თუ ეს საჭირო ხდება, კვლავ ტოვებენ მას და ავიწროებენ და გაშმაგებით მისდევენ მტერს. დახელოვნებულნი და ძლიერ გამოცდილნი არიან ყოველგვარ საომარ მოქმედებებში და მტერს ძალზე მძიმე დარტყმებს აყენებენ. დიდი ხანია შეჩვეული ომებს, ისინი იბრძვიან სპარსელთა დროშის ქვეშ, მაგრამ არა იძულებით, როგორც ქვეშევრდომნი, რადგანაც ისინი *დამოუკიდებელნი არიან და საკუთარი კანონებით ცხოვრობენ* და არ არიან ჩვეულნი, რომ დაემორჩილონ ვინმეს ძალადობასა

და თვითნებობას. ისინი არასოდეს შეირცხვენენ თავს და არ დაიხვევენ უკან, ბრძოლისას კი სწრაფები და მამაცები არიან (Agath. III 17, 6-7; III 18; III 18, 5-11; III 22,5; III 26, 2-6; III 28, 6-7; IV 13, 8).

„ისტორიანში“ აგათია გამორჩეულად ახასიათებს ფრანკებს: აღნიშნავს საერთო ისტორიასა და წარსულს, საერთო ტერიტორიას - საცხოვრისს, კანონებსა და ადათ-წესებს, სარწმუნოებას, მათთვის დამახასიათებელ ყოფით ელემენტებს, მაგ., ჩაცმულობას, ვარცხნილობას (მეთაურნი ატარებენ გრძელ თმას, ხოლო მდაბიოები იკვეცენ მრგვლად მოკლედ და აკრძალულიც კი აქვთ გრძელი თმის ტარება, რადგან ეს მეფეთა პატივია მხოლოდ) და რომაელებისაგან განსხვავებულ საერთო ენას, აგრეთვე ყურადღება ექცევა ფსიქიკურ შტრისსაც, უყვართ პრობლემების მშვიდობიანად მოგვარება, ყველანაირად ცდილობენ შიდა არეულობა და შუღლი აირიდონ და არ დაუშვან თანამემამულეთა შორის იარაღით საკითხის გადაჭრა. თუ ვინმეს ომი სურს, დაპირისპირება მათ შორის უნდა მოხდეს და თვითონ უნდა შეებრძოლონ ერთმანეთს მოშუღლები და ეთნოსის ინტერესები არ უნდა შეეწიროს უთანხმოებას - აგათია მშვიდობისმოყვარეობის გამო დაუფარავად გამოხატავს კეთილგანწყობას ფრანკთა ტომის მიმართ (Agath.: I 1; I 3; I 6; I 7; I 11; I 12; I 14; I 16; I 19; I 22; II 1; I 3; I 5; I 7; I 9; I 14).

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სხვადასხვა ტომთა ადათ-წესების თავისებურებათა აღწერის დროს ავტორი ამჟღავნებს ჰუმანურობას, ერთგვარ შემწყნარებლობას. განსაკუთრებულ კეთილგანწყობას, დაუფარავ მოწონებასაც კი ამჟღავნებს აგათია ლაზთა ეთნოსის აღწერის დროს: ლაზთა შესახებ ცნობები სხვადასხვა წიგნშია გაბნეული, თავდაპირველად ის გვიყვება ლაზების, ანუ კოლხების ისტორიას და ცნობებს მათი წარმოშობის შესახებ გვაწვდის, მისი აზრით, და რამდენიმე ძველი ავტორის დამოწმებით, აგათია იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ლაზები ეგვიპტიდან არიან გამოსულნი და აქ დამკვიდრებულნი. მათ ჰყავთ მეფე, იმპერატორი იუსტინიანე მისი მმართველობით კმაყოფილია და არასოდეს შეეგუება ამ ქვეშევრდომთან დაშორებას. თუმცა ზოგი ბიზანტიელი უგუნური სარდალი ან მეომარი ადგილობრივ მოსახლეობას ძარცვავს, მათი მიზანი არა ბრძოლის ველზე გამარჯვებაა, არამედ საკუთარ კეთილდღეობაზე და გამდიდრებაზე ფიქრი. კოლხეთის მიწაზე გაბატონებისათვის იბრძვიან ბიზანტია და ირანი, ირანი ცდილობს ევქსინის პონტოზე ძალაუფლების მოპოვებას, ბიზანტია ამას არ დაუშვებს. ასეთ დამაბულ ვითარებაში ხდება საზარელი და სამწუხარო ამბავი, ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა მოკლეს ლაზთა მეფე გუბაზი, რამაც ლაზების გლოვა და განრისხება გამოიწვია, მათ უარი თქვეს ბრძოლებში მონაწილეობაზე და განუდგნენ ბიზანტიელებს. სწორედ ამის შემდეგ სთავაზობს მკითხველს აგათია ლაზთა ეთნოგრაფიულ აღწერას: „ლაზები ძლიერი და მამაცი ეთნოსია და სხვა ძლიერ ტომებზეც მბრძანებლობენ; ამაცობენ კოლხთა ძველი სახელით და ამით უზომოდ ქედმაღლობენ კიდევ, თუმცა, შესაძლებელია, არც თუ ისე უსაფუძვლოდ. 2. იმ ეთნოსებს შორის, ვინც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარება, არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და სვებენიერი, როგორც თავისი სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც ვრცლად გადაჭიმული მიწა-წყლით და მისი ნაყოფიერებით, ისე მათი ლამაზი და ცქვიტი ხასიათით“, ნაოსნობაშიც დახელოვნებული არიან და ვაჭრობაშიც ნახულობენ დიდ სარგებელს. „ისინი უკვე არა თუ ბარბაროსები აღარ არიან, არამედ ბარბაროსულ ცხოვრებასაც არ მისდევენ, რადგან რომაელებთან კავშირის წყალობით, თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ...5. აი, ასეთი არიან ლაზები და ბუნებრივია, რომ მათ შეუწყნარებლად მიიჩნიეს, მოეთმინათ ის, რომ მათ ასე ვერაგულად მოუკლეს მეფე“ (Agath., III 5; III 5, 5-6). ამის შემდეგ ლაზები საიდუმლო თათბირს მართავენ, სადაც უნდა გადაწყვიტონ შემდგომი მოქმედების გეგმა, დაქვემდებარებოდნენ ისევ ბიზანტიელებს თუ გადასულიყვნენ სპარსელების მხარეზე, იმპერატორ იუსტინიანეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ომის ბედს გადაწყვეტდა ის ფაქტი, ვის მხარეს დაიჭერდა ადგილობრივი მოსახლეობა, ამიტომ კავკასიის ქედის ძირში გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც კანონმდებლობის სრული დაცვით გაასამართლეს და განაჩენი გამოუტანეს მეფის მკვლელებს, რასაც მოყვა სასჯელის საჯაროდ აღსრულება. როგორც საიდუმლო თათბირის დროს, ისე სასამართლო პროცესზე გამოჩნდა მჭევრმეტყველებასა და

სამართლის საქმეებში წარჩინებულ კოლხთა ღრმად განსწავლულობა. მალე ბიზანტიიდან ბრუნდება წათე, მეფის დამადასტურებელი ნიშნებით. დიდი სიხარულითა და ზარ-ზეიმით ხვდებიან კოლხები თავიანთ მეფეს, რის შემდეგაც კვლავ ექვემდებარებიან ბიზანტიის იმპერატორს და მის მხარეს განაგრძობენ ბრძოლას³.

როგორც აღვნიშნეთ, აგათიას დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობებისადმი ზომიერად სამართლიანია და ხშირად ობიექტურიც, თუმცა არც ძლიერი ქვეყნის წარმომადგენლის ქედმაღლური ქილიკი არის მწერლისთვის უცხო. ეს გამოსჭვივის როგორც ბიზანტიელი სარდლების გამონათქვამებში, გუბაზის თავი ისე ეჭირა, თითქოს მართლაც მეფე ყოფილიყო; იმაზე უფრო ქედმაღლურად გვიპასუხებდა, ვიდრე ეს დაქირავებულსა და ქვეშევრდომს შეჰფერისო (Agath., IV 9, 9), ისე თვითონ ავტორის თხრობის დროსაც: როდესაც წათე ბრუნდება ლაზიკაში და ლაზები განსაკუთრებული პატივით ეგებებიან, ეს აღფრთოვანება გაუგებარია რომელი მწერლისათვის: „ზეიმი იყო მეტად ბრწყინვალე და აღზევებული და უფრო მეტად გაზვიადებული, ვიდრე ეს ლაზთა სამეფოს შეეფერებოდა“ (Agath., III 15, 4).

არის თუ არა სანდო ის ცნობები, რასაც აგათია გვაწვდის ამა თუ იმ ტომის შესახებ, დანამდვილებით ძნელია თქმა, მაგალითად, ცნობები, რომელსაც აგათია ფრანკების შესახებ გვაწვდის ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც ჩვენ ვიცით გრიგოლი ტურსელის (ლათ. Gregorius Turonensis, დაახლ. 538-594 წწ.) შრომიდან „ფრანკების ისტორია“ და სხვა დასავლური ქრონიკებიდან⁴. თუ ავტორს ვენდობით, ის ყოველთვის ყველაფერს განზრახ შელამაზების გარეშე გვიყვება. აგათია ხომ თავისი შრომის დასაწყისშივე აცხადებს, რომ წარსულის ამბების გადმოცემისას ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ სიმართლეზე და ამბავთა და მოვლენათა გაშუქებისას მიუკერძოებელი მსაჯული იქნება. და მაინც, ბიზანტიელი ისტორიკოსისათვის სინამდვილის შელამაზება უცხო არ არის. მისი მიზანი ხომ იმპერატორის და მისი საქმეების განდიდებაა, ასე მაგალითად, ეპიგრამების კრებულმა, რომელიც „Anthologia Palatina“-ს სახელწოდებითაა ცნობილი, შემოგვინახა აგათია მირინელის ამ კრებულისადმი წამმღვარებული სამი შესავალი. შესავლის მეორე ნაკვეთი, რომელიც დაქტილური ჰექსამეტრითაა დაწერილი, არის იმპერატორისადმი მიძღვნილი პანეგირიკი, ამაღლებული სტილით დაწერილ შესხმაში საუბარია იმაზე, რომ იმპერიაში სუფევს მშვიდობა და ბრძენი უძლეველი იმპერატორის მმართველობა განფენილია მთელ სამყაროზე. აგათია მირინელის პოეტურ შესავალში იმპერატორის საგარეო პოლიტიკის წარმატებათა აღწერისას დასახელებულია ტოპონიმი „იბერია“. იგულისხმება არა კავკასიის იბერია, არამედ ესპანეთის იბერია (The Greek Anthology, 1916: 117-125). როგორც ისტორიიდან ცნობილია, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბიზანტიამ ირანს იბერია ვერ გამოსტაცა (გ. გოზალიშვილი, 1979: 58-75). მიუხედავად ფაქტობრივი მდგომარეობისა, პოეტს სურს, დაარწმუნოს მსმენელი, რომ მთელი სამყარო ემორჩილება რომის იმპერატორს. ამიტომ იგი მიმართავს რიტორიკაში კარგად ცნობილ, ე. წ. „გაბუნდოვანების“ ხერხს. იგი ახსენებს დაქვემდებარებულ ქვეყნებს შორის იბერიას, ოღონდ გულისხმობს პირინეის ნახევარკუნძულის იბერიას, იქ რომის იმპერიამ წარმატებას მიაღწია, ზოგადად იბერიის დასახელებით პოეტი იწვევს ასოციაციას და სასურველის ნამდვილ ფაქტად წარმოდგენას ცდილობს. იმპერატორის განდიდებისთვის სინამდვილეს „ბურუსში ახვევს“, პოეტურ-რიტორიკულ ალუზიას ქმნის, რაც აგათიას, როგორც ისტორიკოსის, თხრობის სტილის დამახასიათებელი თვისებაა. აგათია, როგორც ისტორიკოსი, საერო იდეოლოგიის მიმდევარია. მის მიერ ფრანკთა სახელმწიფოებრივი მოწყობის დადებითი აღწერა უმეტესწილად ავტორის პოლიტიკური განწყობის მაჩვენებელია და ემსახურება დიდაქტიკურ-დამომღვრით მიზნებს.

მართალია, აგათიას მიზანი არის ბიზანტიის იმპერიისა და მისი მმართველის ქება, იმის ჩვენება, რომ საზღვრები იმპერიისა თითქმის მთელ სამყაროზე არის განფენილი, რომ ყველა ბედნიერი უნდა იყოს, თუკი რომაული კანონები და რელიგია გავრცელდება მათ ქვეყნებში, მართალია, მას ბარბაროსთა ცხოვრება ძირითადად ბიზანტიასთან მიმართებაში აინტერესებს, ის

³ აგათიას „ისტორიანის“ შესავალში და ხუთივე წიგნში არის გაბნეული ცნობები კოლხეთისა და ლაზეთის, კოლხებისა და ლაზების და მათი მონათესავე ტომების შესახებ.

⁴ З. В. Удальцова. 1974: 228 – 231.

მაცნე დიდ დროს უთმობს ეთნიკური უმცირესობების ყოფის, ადათ-წესების აღწერას და საკმაოდ ვრცლად გვიყვება ბიზანტიის ქვეშევრდომ ტომებზე, ომებში ჩართულ ეთნოსებზე, იმპერიის მოსაზღვრე ხალხებზე, მათ შესახებ ცნობების მოწოდებისას ავტორს, საერო და ანტიკური განათლებით განსწავლულს, არ ღალატობს ზომიერების გრძნობა და ტოლერანტობის განცდა.

გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. ანანია მანგლელი, მიტროპოლიტი. *აგათია სქოლასტიკოსი ლაზიკის შესახებ*. თბილისი, 2017.
2. გეორგიკა. *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, ტ. III, 1936.
3. გოზალიშვილი, გ. ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში. *თსუ შრომები*, ტ. XXVI – B, 1944.
4. ლომოური, ნ. „კოლხიდის“ და „კოლხების“ გაგებისათვის. *თსუ შრომები*, B1, (1971): 19-31.
5. Agathias Myrinaeus. *Historiarum libri quinque*. Rec. R. Keydell. Berlin, 1967, CFHB, v.2.
6. *Anthologia Graeca*. Hrsg. und übersetzt v. H. Beckby, Bd. I-IV, München, 1957-1958
7. Cameron, Av. Herodotus and Thucydides in Agathias. In *BZ*, 57, 1964.
8. Cameron, Av. Agathias on the early Merovingians. In *Annali della Scuola Normale Superiore di Pisa*. Classe di lettere e filosofia, ser 2, 37, 1968.
9. Cameron, Av. Agathias on the Sassanians. In *DOP* 23-24, 1969-70.
10. Cameron, Av. *Agathias*. Oxford University Press, 1970.
11. *The Greek Anthology*. Translated by W. R. Paton (Loeb Classical Library Edition). London, 1916-18.
12. Kaldellis, A. The Historical and Religious Views of Agathias: A Reinterpretation. *Byzantion* 69, 1999.
13. *О царствовании Юстиниана*. Пер., статья и примечания М. В. Левченко. М., 1996.
14. Жордания, Э. Г. *Византийский Понт и Грузия*. Вопросы исторической географии и этнотопонимики юго-восточного Причерноморья в XIII-XV веках. Санкт-Петербург, 2019.
15. Удальцова, З. В. *Агафий Миринейский – историк и поэт. Идеино-Политическая борьба в ранней Византии, (по данным историков IV- VII вв.)*. Москва, 1974.